| 05 02 01 01 | ა(ა)იპ „საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა“ | 144.8 | 148.0 | 158.9 | 168.1 |
| 05 02 01 02 | ა(ა)იპ „კულტურის ობიექტების გაერთიანება“ | 421.5 | 445.9 | 471.8 | 499.2 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05 02 02 | კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 57.0 | 187.0 | 250.0 | 300.0 |
| 05 02 03 | კულტურული ღონისძიებები | 120.0 | 66.9 | 70.8 | 74.9 |
| **05 03** | **ახალგაზრდობის მხარდაჭერა** | 50.2 | 32.0 | 33.8 | 35.7 |
| **05 04** | **საგამომცემლო საქმიანობა** | 35.0 | 37.2 | 39.4 | 41.6 |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ საგარეჯოს №105 კომპ.სასპორტო სკოლა | | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|
| | **05 01 01 01** | | | **46,8** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ საგარეჯოს სპორტული გაერთიანება | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სპორტსკოლა მოიცავს ორ საცურაო აუზს,სადაც მთელი წლის განმავლობაში როგორც ბავშვები და მოზარდები ეუფლებიან ცურვის ოსტატობას, აგრეთვე მოყვარულებსაც შეუძლიათ ისარგებლონ სპორტსკოლის მომსახურებით. სტრუქტურა მოიცავს დირექციას (რომლის შემადგენლობაშიც შედიან დირექტორი და ბუღალტერი), პედაგოგთა (მწვრთნელთა) საბჭოს. ქვეპროგრამის მიზანია:<br>- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | საცურაო აუზი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; გაზრდილია სპორტსკოლის (საცურაო აუზი) ღონისძიებებში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ საგარეჯოს სპორტული გაერთიანება | | 2021წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|
| | **05 01 01 02** | | | **416,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ საგარეჯოს სპორტული გაერთიანება | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სპორტულ გაერთანებაში ფუნქციონირებს 9 სპორტული მიმართულება, ესენია: ძიუდო, სამბო (306 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (15 ბავშვი); ქალთა ჭიდაობა (15 ბავშვი); თავისუფალი ჭიდაობა (32 ბავშვი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (38 ბავშვი); კრივი (20 ბავშვი); ჭადრაკი (40 ბავშვი); მკლავჭიდი (45 ბავშვი) სულ სპორტულ გაეთიანებაში სპორტის სახეობებს ეუფლება 511-მდე ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ - 5 ჯერ. სპორტულ გაეთიანებაში დასაქმებულია ჯამში 60 თანამშრომელი, მათ შორის 21 ტექნიკური და 9 ადმინისტრაციული პერსონალი და 30 მწვრთნელი. სპორტული გაეთიანების აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით და მის გარეთ. ქვეპროგრამის მიზანია:<br>- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;<br>- მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;<br>- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | სპორტული გაერთიანება მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა; | | | |

| ქვეპროგრამის | კოდი | | | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დასახელება | 05 01 01 03 | ა(ა)იპ რაგბის კლუბი ვეფხვები | | 206.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ რაგბის კლუბი ვეფხვები | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ჩვენს კლუბში ირიცხება უკვე 150 ბავშვი, სამომავლოდ გვინდა ამ ნიშნულის გაორმაგება, ამისთვის დაგეგმილი გვაქვს სკოლებში ვიზიტები და სხვადასხვა ღონისძიებები. 2021 წლისთვის გვაქვს სურვილი საკუთარი შემოსავლებით შევიძინოთ მიკროავტობუსი, რომელიც მოემსახურება სხვადასხვა სოფლებიდან ბავშვების საგარეჯოში მობილიზებას, აღნიშნული ტრანსპორტით სხვა სპორტის სახეობებსაც მიეცემათ სარგებლობის საშუალება. ბავშვთა გაზრდილ რაოდენობას დასჭირდება კვალიფიციური მწვრთნელები, რაზეც ასევე ვაპირებთ ზრუნვას, რაგბის განვითარების ჯგუფთან ერთად, იგეგმება ადგილობრივი მწვრთნელების გადამზადება. ეს ყოველივე გრძელვადიან პერსპექტივაში მოგვცემს საშუალებას დიდი გუნდის შემადგენლობაში გვყავდეს 90-95% ადგილობრივი მოთამაშე, რომლებსაც ექნებათ შესაბამისი ანაზღაურება და უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სავარჯიშო პირობებით.<br>ქვეპროგრამის მიზანია:<br>-არსებულ მოედანზე მერიის თანადგომით უკვე მოეწყო გასახდელები, ჩვენი სახსრებით 2018 წელს მოეწყო 100 კაციანი ტრიბუნა და ვიდეო გადაღების კოშკურა, სპონსორების დახმარებით გაკეთდა ტაბლო და განათების სისტემა, მაგრამ ეს საკმარისი არაა, მოსაწყობია სადრენაჟე სისტემა და საფარის განახლებაა საჭირო, პატარძეულში თამაშებს ესწრება 700-800 მაყურებელი, შესაბამისად არც ტრიბუნა გვყოფნის. ამ ყველაფრის მოწყობას არც ჩვენი და არც ადგილობრივი ბიუჯეტი არ ეყოფა, ამიტომ ამ პროგრამაში შემოვიფარგლებით მხოლოდ არსებულის მოვლა პატრონობით<br>- ჩვენი გუნდი მონაწილეობას იღებს საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში, ჩვენი მიზანია პირველ სამეულში მოხვედრა, ასევე ვმუშაობთ სპორტსმენებისთვის სავარჯიშო და სათამაშო პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობისთვის;<br>- ამ ეტაპზე გუნდში ირიცხება 150 ბავშვი, რომლებიც გადანაწილებული არიან 5 (8-10-12-14-16 წლამდე) ასაკობრივ კატეგორიაში, 8-14 წლამდელები მონაწილეობას იღებენ რაგბის კავშირის მიერ ორგანიზებულ ბავშვთა სარაგბო ფესტივალებში (წელიწადში 40 ფესტივალი) და 16 წლამდელები საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა ლიგაში. მომავალ წელს იგეგმება მათთვის სავარჯიშო ინვენტარის შეძენა და გასვლით შეხვედრებში კვებით უზრუნველყოფა.დიდ გუნდში 90% პროფესიონალი მორაგბეა. აქედან 20% მოწვეული სპორტსმენია. გვინდა რომ ეს რიცხვი 2022 წლისთვის შევამციროთ 10% ით. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მოთამაშეები დიდი გუნდის რიგებში, ასკობრივ გუნდებში ბავშვთა რაოდენობის ზრდა, სავარჯიშო პირობების გაუმჯობესება. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი გარეჯი | | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|
| | 05 01 01 04 | | | 67,6 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი გარეჯი | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდების და მოზარდების დაინტერესებას ფეხბურთით, ვინაიდან 2020 წელს საფეხბურთო კლუბში გაიზარდა სხვადასხვა ასაკის ბავშვების რაოდენობა წინა წლებთან შედარებით, საჭიროა მწვრთნელების დამატება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება, რათა უკეთ მოხდეს ბავშვების დაოსტატება , კარგად აღჭურვილი სპორტული ბაზა ხელს შეუწყობს ბავშვებს მიიღონ მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატებში, შეჯიბრებებსა და ტურნირებში, გამოცდილების შეძენით შესაძლებლობა ექნებათ მაღალი შედეგის მიღწევის.ქვეპროგრამის მიზანია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. ბავშვებისა და ახალგაზრდების მოზიდვა და ჩაბმა გამაჯანსაღებელ და სპორტულ მეცადინეობებში. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ძლიერი საფეხბურთო სკოლა,მასობრივად ჩაბმული ბავშვები და ახალგაზრდები გამაჯანსაღებელ და სპორტულ მეცადინეობებში. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული ღონისძიებები | | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში |
|---|---|---|---|---|
| | 05 01 02 | | | 37.4 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ | | | |

| | |
|---|---|
| სამსახური | საქმეთა სამსახური |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:<br><br>სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენების და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობენ მოყვარული სპორტსმენები მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით. სპორტულ ღონისძიებებში აქტიურად ერთვებიან ეთნიკური უმცირესობის (აზერბაიჯანელები) წარმომადგენლები, რაც ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში.<br><br>წლის განმავლობაში, სპორტული ღონისძიებების ხარჯებიდან, სპორტსმენებს უფინანსდებათ გზის და სამივლინებო ხარჯები, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებზე. ყოველწლიურად ტარდება სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა გუნდები; თამაშების ორგანიზებას და გამარჯვებული სკოლების ტრანსპორტირებას რეგიონულ და რესპუბლიკურ თამაშებზე უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერია.<br><br>პროგრამის მიზანია:<br><br>ჯანსაღი ცხოვრების წესის და სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება. |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული და სხვა მნიშვნელოვანი, პოპულარული სპორტული აქტივობა. დაფინანსებულია ათობით ახალგაზრდა სპორტსმენის მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ ტურნირებზე; ფულადი და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებულია ახალგაზრდა წარმატებული და მოყვარული სპორტსმენები; გაზრდილია ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში და სპორტულ წრეებში |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული ობიექტების აღჭურვა,რეაბილიტაცია,მშენებლობა | | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში |
|---|---|---|---|---|
| | 05 01 03 | | | 150,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში 2021 წელს განხორციელდება ქ. საგარეჯოს სტადიონის ტერიტორიაზე ტრენაჟორების მოწყობა; პატარა ჩაილურში არსებული საჭიდაო დარბაზის იატაკის შეცვლა, მანავის მინი სტადიონის რეაბილიტაცია აგრეთვე სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამით ანუ მოქალაქეებიდან შემოსული საპროქტო წინადადებებიდან ონლაინ კენჭისყრით გამოვლენილი გამარჯვებული პროექტი სოფ. კოჭბანში ღია კომბინირებული სპორტული მოედნის მოწყობა (149 ბენეფიციარი)<br><br>პროგრამის მიზანია: თანამედროვე , კარგად აღჭურვილი სპორტული მოედნების და დარბაზების რეაბილიტაცია და მშენებლობა ჯანსაღი ცხოვრების წესის და სხვადასხვა სპორტული სახეობების პოპულარიზაციის, მასობრივი სპორტის სახეობებში მოზარდების ჩართვის მიზნით. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | რეაბილიტირებული და აშენებული თანამედროვე , კარგად აღჭურვილი სპორტული მოედნები და დარბაზები. კმაყოფილი მოსახლეობა. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ - საგარეჯოს ჯ.ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 02 01 01 | | 144.8 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ - საგარეჯოს ჯ.ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა | | |

| | |
|---|---|
| სამსახური | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი დაწყებითი სამუსიკო განათლების 1 სკოლა<br><br>სამუსიკო სკოლაში გაერთიანებულია საფორტეპიანო, თეორიული, ხალხური საკრავების და სხვა მიმართულებები. სამუსიკო სკოლაში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 212 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და 19 პედაგოგი ) 25 თანამშრომელს.<br><br>სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; ფასიანი, საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები და სამხატვრო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა.ი.პ. კულტურის ობიექტების გაერთიანება | | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|
| | 05 02 01 02 | | | 421.5 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა.ი.პ. კულტურის ობიექტების გაერთიანება |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ა.ი.პ. კულტურის ობიექტების გაერთიანების ადმინისტრაცია-დაფინანსება 54,3 ათასი ლარი; კულტურის სახლი დაფინანსება 174,1 ათასი ლარი; ტექნიკური სამსახური 15,0 ათ ლარი; მუზეუმი- საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი დაფინანსება 33,8ათასი ლარი; და გიორგი ლეონიძის სახლ.მუზეუმი დაფინანსება -19.6 ათასი ლარი; ცენტრალური ბიბლიოთეკა დაფინანსება --53,1 ათასი ლარი; და სამი სასოფლო ბიბლიოთეკა დაფინანსება 9,3 ათასი ლარი; ხუთი- სასოფლო კლუბი 14,4; ვანო მჭედლიშვილის სახელობის ხალხური სიმღერის და საგალობლების სახელოსნო დაფინანსება 15,9 ათასი ლარი; შტატგარეშეთა დაფინანსება 34,9ათასი ლარი მათ შორის(ანსამბლი ბერიკაცები დაფინანსება 10,5 ათასი ლარი; ვოკალური ანსამბლი დაფინანსება 3,6 ათასი ლარი უდაბნოს ქორეოგრაფი-2400; ცენტრ.ბიბლიოთეკა 6000 ხელოვნების სკოლა 12,4ათასი ლარი.<br><br>კულტურის სახლებში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები. ამ წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 55 აღსაზრდელი, ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში ჩართულია 65-მდე მონაწილე. მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია 688 ექსპონატი; გ.ლეონიძის სახლ.მუზეუმში 1529 ექსპონატი; დასაქმებულია 11 თანამშრომელი,, იცავს, იკვლევს და პოპულარიზაციას უწევს ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებს, ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას ,აწყობს დროებით გამოფენებს. მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა წელიწადში საშუალოდ შეადგენს 2112-ს ;მიზანშეწონილია მოხდეს ინტერიერის განახლება სტანდარტების შესაბამისად. საჭიროა განახლდეს მატერიალური ტექნიკური ბაზა. მიზანსეწონილია გადამზადდნენ მუზეუმის თანამშრომლები. აგრეთვე განხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, რათა დავაინტერსოთ მოსახლეობა, მოვიზიდოთ ტურისტები და ავამაღლოთ ცნობიერების დონე.<br><br>კულტურის ობიექტების გაერთიანების შემადგენლობაში შედის 5 სასოფლო კლუბი: კოჭბანის, პატარძეულის, თოხლიაურის, კაკაბეთის და ბადიაურის სადაც დასაქმებულია 5 თანამშრომელი; კლუბებში ფუნქციონირებს უფასო სხვადასხვა შემოქმედებითი წრეები წლის განმავლობაში ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები სადაც გაერთიანებულია მოსახლეობის შემოქმედებითი ნაწილი, რაც ხელს უწყობს კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას; მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება; კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღრმავების ხელშეწყობა; განათლების დონის ინტელექტისა და კულტურის ამაღლება; კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია; შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება.<br><br>მუნიციპალიტეტის 4 ბიბლიოთეკაში ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, პატარძეულის, ნინოწმინდის და |

| | |
|---|---|
| | კაკაბეთის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 88675 ერთეული. ბიბლიოთეკების მომსახურებით ისარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლობით 15000 მოსახლე. წლების განმავლობაში ჩატარდება წიგნის პრეზენტაციები. ლიტერატურული საღამოების მწერლებისა და ღვაწლმოსილი პიროვნებებთან შეხვედრების ბიბლიოთეკის კვირეულის მოწყობა ორგანიზება. |
| | კულტურის სახლში ფუნქციონირებს სახალხო თეატრი და თოჯინების თეატრი. 2021 წელს თეატრში გაიმართება 1 დრამატული სპექტაკლის პრემიერა, აღდგება და განახლდება წინა წლებში დადგმული 1 სპექტაკლი. თოჯინების თეატრში დაიდგმებაა 1 ახალი სექტაკლი, თოჯინების თეატრი ასევე ახორციელებს გასვლით წარმოდგენებს. |
| | მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის სახლების მიერ სრულად არის დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და საესტრადო წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. თეატრებში იდგმება სპექტაკლები. წლის განმავლობაში ტარდება კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებები, საკლუბო შეხვედრების მოწყობა. ბიბლიოთეკები და მუზეუმები საკუთარი მომსახურებას სთავაზობენ მსურველებს. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კულტურის ობიექტების აღჭურვა-რეაბილიტაცია, მშენებლობა | | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|
| | 05 02 02 | | | 57,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაციას. 2021 წელს დაგეგმილია 2 ძეგლის პროექტების შესყიდვა, ესენია: პატარძეულის(ბილანიშვილების კოშკის) რეაბილიტაცია და წმინდა ნინოს სამონასტრო კომპლექსის ნაწილობრივი რებილიტაცია.პროგრამის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაცია. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კულტურული ღონისძიებები | | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|
| | 05 02 02 | | | 120,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის, ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობების და საერთაშორისო პროექტების განყოფილება. | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების ჩატარებას, კერძოდ: სახალხო დღესასწაული „გარეჯობა“, საახალწლო ღონისძიებები, მუსიკალური კონკურსი „გარეჯის ხმა“, პროექტი „მემკვიდრეობა“, ქართული სიმღერის კონკურს-ფესტივალი „სხვა საქართველო სად არის“, ,, კახეთის ფესტივალში „ჭაჭა“ და თელავის „ერეკლეობაში“ მონაწილეობას, ევროპის მემკვიდრეობის დღეების თემატურ ღონისძიებათა განხორციელებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგარდების წახალისებას;<br><br>კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას. მუცნიპალიტეტის ტურისტული ბაზრის ცნობადობის და ტურისტების | | | |

| | |
|---|---|
| | რაოდენობის ზრდის თვალსაზრისით ქვეპროგრამაში ტურისტულ ღონისძიებებზე 2021 წელს გამოყოფილია 25.0 ათასი ლარი, ჩატარდება ღვინის და აგრო ტურისტული ფესტივალები; მედია ტური; მომზადდება საინფორმაციო ბანერები და ბუკლეტები,საიმიჯო ვიდეო რგოლი ; მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები. |
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია,ტურისტული ღონისძიებების განხორცილების შედეგად მოიმატებს როგორც შიდა ასევე საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა, აღნიშნული ღონისძიებების ჩატარების შედეგად გაიზრდება ტურისტული ობიექტების და ინვესტორების რაოდენობა, ასევე აქტიურად ჩაერთვება ადგილობრივი მოსახლეობა. გაიზრდება ცნობადობა ტურისტული ობიექტების და პოტენციალის შესახებ. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში |
|---|---|---|---|---|
| | 05 03 | | | 50.2 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები:<br><br>1. ტრანსპორტით მომსახურება - გეგმიური, ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფების, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების და სხვა ინიცირებული ღონისძიებების მონაწილეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა 2. პროექტი "ეფექტური საჯარო გამოსვლები" - სემინარები წარმატებული ახალგაზრდებისთვის მოწვეული ტრენერების დახმარებით. 3. ლიტერატურული კონკურსი "ნატვრის ხე" - საუკეთესო ლიტერატურული ნამუშევრების და შემოქმედი ახალგაზრდების გამოვლენა და დაჯილდოება ფულადი პრიზით. 4. ლიტერატურული კონკურსი "მირანდუხტი" - საუკეთესო ლიტერატურული ნამუშევრების და შემოქმედი ახალგაზრდების გამოვლენა და დაჯილდოება ფულადი პრიზით. 5. სასაჩუქრე წიგნები წარმატებული ახალგაზრდებისთვის - ახალგაზრდების წახალისება/დასაჩუქრება. 6. 1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე - გარე ღონისძიება ანიმაციის გმირების მონაწილეობით. 7. 3 დეკემბერი - შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე - შშმ პირთა ინტეგრაცია, ღონისძიება გასართობ ცენტრში. 8. მხიარულთა და საზრიანთა კლუბის თამაშები - ახალგაზრდების ჩართულობა, აქტიურობა 9. ახალგაზრდული ფესტივალი - სპორტული აქტივობები, შემეცნებითი აქტივობები, მუსიკალური გაფორმება 10. ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა( შემოთავაზებული პროექტი გარემოს დაცვასთან დაკავშირებით და ახალგაზრდული ბანაკის ჩატარებაზე) | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | საზოგადოებაში ინტეგრირებული შშმ პირები, გამოვლენილი შემოქმედი ახალგაზრდები, წახალისებული ახალგაზრდები, მხიარულთა და საზრიანთა კლუბში მონაწილე ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა, თავისუფალი დროის სწორად გამოყენება | | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | საგამომცემლო საქმიანობა | | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|
| | 05 04 | | | 35.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | შ.პ.ს. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი გარეჯის მაცნე“ | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში ფინანსდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ საინფორმაციო გაზეთის გამოცემა, რომლის საშუალებით მოსახლეობას პერიოდულად( თვეში ორჯერ) მიეწოდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ. პრობლემა არის შემოქმედი მუშაკის, გაზეთის კორექტორის და გაზეთის დისტრიბუტორის შტატის არ ქონა. აღნიშნული შტატების დამატებით გაუმჯობესდება ინფორმაციის ოპერატიული მოძიება და გაზეთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ფართოდ გავრცელება და გაადვილდება მოსახლეობისათვის გაზეთის ხელმისაწვდომობა. პროგრამის მიზანია გაზეთის გამოცემა გაზრდილი ტირაჟით, მოსახლეობის ინფორმირება, მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი სიახლეების გაშუქება, მოგების მიღება, წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამეწარმეო საქმიანობის შედეგად. | | | |

| | |
|---|---|
| | |
| მოსალოდნელი შედეგი | გაზრდილია გაზეთის ტირაჟი,მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაციები მიმდინარე სიახლეებზე |

## მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

2021 წელს ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1223.6 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2021 წლის პროექტი | 2022 წლის პროგნოზი | 2023 წლის პროგნოზი | 2024 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| **06 00** | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **1,223.6** | **1,339.1** | **1,474.9** | **1,353.2** |
| **06 01** | **ჯანმრთელობის დაცვა** | **95.2** | **118.7** | **125.5** | **132.8** |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | 91.3 | 114.6 | 121.2 | 128.3 |
| 06 01 02 | სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია | 3.9 | 4.1 | 4.3 | 4.5 |
| **06 02** | **სოციალური დაცვა** | **1,128.4** | **1,220.4** | **1,349.4** | **1,220.4** |
| 06 02 01 | სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვთა დახმარების პროგრამა | 159.4 | 126.8 | 144.1 | 126.8 |
| 06 02 01 01 | პირველი და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა | 8.0 | 8.8 | 9.3 | 8.8 |
| 06 02 01 02 | მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა | 40.0 | 28.6 | 35.3 | 28.6 |
| 06 02 01 03 | ბავშვთა კვების პროგრამის დაფინანსება | 4.0 | 4.2 | 4.4 | 4.2 |
| 06 02 01 04 | უდედმამო ბავშვების დახმარების პროგრამა | 14.8 | 3.9 | 5.0 | 3.9 |
| 06 02 01 05 | შშმ 18 წლამდე ბავშვთა დახმარების პროგრამა | 44.4 | 39.7 | 43.0 | 39.7 |
| 06 02 01 06 | შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა | 32.0 | 27.5 | 30.2 | 27.5 |
| 06 02 01 07 | მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების დახმარების პროგრამა | 3.2 | 3.2 | 3.4 | 3.2 |
| 06 02 01 08 | რეინტეგრირებული ოჯახების ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა | 5.0 | 2.1 | 3.2 | 2.1 |
| 06 02 01 09 | სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საყოფაცხოვრებო აუცილებელი ტექნიკის შეძენა | 8.0 | 8.8 | 10.3 | 8.8 |
| | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06 02 02 | სამედიცინო მომსახურების დაფინანსება | 526.2 | 625.7 | 702.2 | 625.7 |
| 06 02 02 01 | სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა | 190.0 | 258.2 | 283.2 | 258.2 |
| 06 02 02 02 | მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა | 150.0 | 182.5 | 198.1 | 182.5 |
| 06 02 02 03 | ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების პროგრამა | 147.8 | 164.0 | 193.5 | 164.0 |
| 06 02 02 04 | ბიკარბონატიული ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა | 38.4 | 21.0 | 27.4 | 21.0 |
| 06 02 03 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება | 163.6 | 178.6 | 195.2 | 178.6 |
| 06 02 03 01 | ელექტროენერგიის და გაზის გადასახადის დაფინანსების პროგრამა | 35.0 | 39.1 | 45.4 | 39.1 |
| 06 02 03 02 | მოწყვლადი ჯგუფების გათბობის ხარჯით დახმარების პროგრამა | 50.0 | 55.0 | 58.2 | 55.0 |
| 06 02 03 03 | სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისათვის საკვების გაცემა დღესასწაულებზე | 35.0 | 38.1 | 40.3 | 38.1 |
| 06 02 03 04 | მოსახლეობის ტრანსპორტირების პროგრამა | 20.0 | 21.0 | 22.4 | 21.0 |
| 06 02 03 05 | ხანდაზმულ (95 და მეტი წლის) პირთა დახმარების პროგრამა | 3.6 | 2.1 | 3.2 | 2.1 |
| 06 02 03 06 | უპატრონო და სოციალურად დაუცველი მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა | 10.0 | 20.1 | 22.3 | 20.1 |
| 06 02 03 07 | სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართებში მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა | 10.0 | 3.2 | 3.4 | 3.2 |
| 06 02 04 | მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა | 32.0 | 29.6 | 31.3 | 29.6 |
| 06 02 05 | უმწეოთათვის უფასო სასადილოების დაფინანსება | 218.0 | 230.6 | 244.0 | 230.6 |
| 06 02 06 | ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა | 6.2 | 6.9 | 7.3 | 6.9 |
| 02 06 07 | წითელი ჯვრის დაფინანსების პროგრამა | 14.2 | 14.6 | 15.4 | 14.6 |
| 02 06 08 | სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის დაფინანსება | 7.0 | 5.8 | 8.1 | 5.8 |
| 02 06 09 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 1.8 | 1.8 | 1.8 | 1.8 |

| პროგრამის დასახელება | კოდი | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|
| | 06 01 01 | | | 91,3 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ – საგარეჯოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი | | | |

| | |
|---|---|
| | |
| პროგრამის აღწერა | მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს.თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტისტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტატის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველba, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების დავვის მონიტორინგი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას: ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებემოსოლებების განხორციელება. პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპუნქტებისაგან: 1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი) 2. იმუნიზაცია 3.ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა 4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა. 5.ცე-ჰეპატიტის.შისსის და ტუბერკულოზის მუნიციპალური ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამა. 6. „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა“ სახელმწიფო პროგრამის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის“ კომპონენტით გასაწევი მომსახურების ვალდებულებას, |
| პროგრამის მიზანი | მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება. |
| მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია | | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში |
|---|---|---|---|---|
| | 06 01 02 | | | 3.9 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია ყოველთვე უხდის ხელფასს ექიმს ,რათა მან გაუწიოს ადგილზე სამედიცინო მომსახურება სოფელ უდაბნოს მოქალაქეებს , პროგრამის მიზანია სოფელ უდაბნოს მოქალაქეებმა ადგილზე ისარგებლონ სამედიცინო მომსახურებით. რეაბილიტაციის ქვეპროგრამა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან, | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობა კმაყოფილია ექიმის ადგილზე მომსახურებით თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ სოფლის ამბულატორიებში | | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | პირველ და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა | | დაფინანსება ათას ლარებში 2021 წლის |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 01 01 | | | 8.0 |
| პროგრამის | | | | |

| | |
|---|---|
| განმახორციელებელი სამსახური | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მაღალმთიან რეგიონში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახის ერთჯერადი 350 ლარიანი დახმარება, ხოლო სხვა დასახლებაში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის 300 ლარიანი დახმარება. (დახმარების მიმღებია პირველი და მეორე შვილი, ტყუპების შეძენის შემთხვევაში დახმარებით ისარგებლებს ორივე ტყუპისცალი.) დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 001-მდე. |
| მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზანია, საქართველოში, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, შობადობის მატერიალური წახალისების გზით. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა | | დაფინანსება ათას ლარში 2021 წელს |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 01 02 | | | 40.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახებს ერთჯერადი 400 ლარიანი დახმარება, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი და ორი მაინც არის 18 წლამდე ასაკის. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, შობადობის მატერიალური წახალისების გზით. კერძოდ, პროგრამით შესაძლებელი იქნება 30 მრავალშვილიანი ოჯახის ფინანსური დახმარება | | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ბავშვთა კვების პროგრამის დაფინანსება | | დაფინანსება ათას ლარებში 2021 წელს |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 01 03 | | | 4.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე, ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს რომელთა სიცოცხლეს და ნორმალურ ზრდა განვითარებას მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო ემუქრება საფრთხე ყოველთვიურად კვების პროგრამის დაფინასება 150 ლარამდე თანხით. (საჭიროების მიხედვით და სახელმწიფო კვების პროგრამაში ჩართვამდე) | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ბავშვთა სოციალური დაცვა და აუცილებელი საკვები დანამატებით უზრუნველყოფა | | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | უდედმამო ბავშვების დახმარების პროგრამა | | დაფინანსება ათას ლარებში 2021 წელს |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 01 04 | | | 14.8 |
| პროგრამის განმახორციელებელი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | | | |

| | |
|---|---|
| სამსახური | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | უდედმამო 18 წლამდე ბავშვთა ყოველთვიური დახმარება, გაიცემა დედით ან მამით ობოლ 16 წლამდე ბავშვებზე რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა შეადგენს 150001-ს. დახმარების გაცემა მოხდება 100 ლარის ოდენობით მთელი წლის განმავლობაში. |
| მოსალოდნელი შედეგი | დედმამით ობოლ ბავშვთა საჭიროებების გათვლისწინება და მათი ფინანსური თანადგომა. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | შშმ 18 წლამდე ბავშვთა დახმარების პროგრამა | დაფინანსება ათას ლარებში 2021 წელს |
|---|---|---|---|
| | 06 02 01 05 | | 44.4 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ბავშვთა დახმარება, დახმარების გაცემა მოხდება 50 ლარის ოდენობით წლის განმავლობაში 12-ჯერ. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ოჯახების ფინანსური შესაძლებლობების გაზრდა და სოციალური დაცვა. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა | | დაფინანსება ათას ლარში 2021 წელს |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 06 | | | 32.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შშმ პირის სტატუსის მქონე პირების, დაუნის სინდრომის და აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის თანხის დაფინანსება 1000 ლარით. საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში მონაწილე 1 და 2 შეზღუდული შესაძლებლობის ჯგუფის მქონე ვეტერანთა სარეაბილიტაიო კურსის დაფინანსება 500 ლარით. სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვთა სამკურნალო რეაბილიტაციის დაფინანსება 200 ლარით. ა.ა.ი.პ ორგანიზაცია "გეორგიანელი" შშმ ბავშვთა მომსახურების დღის ცენტრის ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსება, ა.ა.ი.პ. რეაბილიტაციის ცენტრი სინერგია 2019-ის კომუნალური ხარჯების დაფინანსება. სანატორიულ-კურორტული და ბენეოლოგიური მკურნალობის დაფინანსება 18 წლამდე შშმ პირთათვის. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია. | | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების დახმარების პროგრამა | | დაფინანსება ათას ლარებში 2021 წელს |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 01 07 | | | 3.2 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების ერთჯერადი 200 ლარიანი დახმარება, დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 001-მდე. |
| მოსალოდნელი შედეგი | მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | რეინტეგრირებული ოჯახების ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა | | დაფინანსება ათას ლარში 2021 წელს |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 01 08 | | | 5.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებულ მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება, ოჯახებს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების ფინანსური დახმარება,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტროს საგარეჯოს სოციალური მომსახურების რაიონული ცენტრიდან მოწვდილი ინფორმაციის საფუძველზე ახალგაზრდების საჭიროებების გათვალიწინებით. ამავე პროგრამის ფარგლებში გათვალიწინებულია ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება. ასევე, ოჯახებს რომელთაც ყავთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირი ან პირები და შეეუწყდა სოციალური შემწეობა განმეორებით გადამოწმების მიზნით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა დედებს და მარტოხელა სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფ მოხუცებს რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 65 001-დან 100 001 მდეა გაეწევათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება 150 ლარის ოდენობით; | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება, სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა და მარტოხელა შეჭირვებულთა ოჯახების თანადგომა. | | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საყოფაცხოვრებო აუცილებელი ტექნიკის შეძენა | | დაფინანსება ათას ლარში 2021 წელს |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 01 09 | | | 8,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის საყოფახოვრებო აუცილებელი ტექნიკის შეძენა. ერთ ოჯახზე არაუმეტეს 700 ლარისა. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | სოციალურად დაუცველი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა. | | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა | | დაფინანსება ათას ლარებში 2021 წელს |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 02 01 | | | 190.0 |
| პროგრამის | | | | |

| | |
|---|---|
| განმახორციელებელი სამსახური | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა ან მკურნალობა და სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო მომსახურება დაუფინანსდება წარმოდგენილი ღირებულების 70%, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. ასევე ბენეფიციარებისათვის, რომელთაც ესაჭიროება: გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალურ-ამბულატორიული მომსახურეობა და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევები, დიაგნოსტიკური კვლევების ჩასატარებლად მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება მოხდება 50%-ით, არაუმეტეს 500 ლარისა, პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 200 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე პირები, 9 აპრილს დაზარალებული და დევნილი პირები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულის წარმოდგენისაგან.აღნიშული სამიზნე ჯგუფებისთვის 300 ლარამდე მოთხოვნილი თანხა დაფინასდება სრულად. ხოლო, 18 წლამდე ბავშვთა სამიზნე ჯგუფის პირთათვის 500 ლარამდე მოთხოვნილი თანხა დაფინანსდება სრულად. სოციალურად დაუცველ და შშმ პირებს სამედიცინო დამხმარე საშუალებები დაუფინასდებათ 500 ლარამდე თანხით, პაციენტებისთვის სამედიცინო დამხმარე საშუალებების დაფინანსება 500 ლარამდე თანხით. |
| მოსალოდნელი შედეგი | პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება |

| პროგრამის დასახელება | კოდი | მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა | | დაფინანსება ათას ლარში 2021 წელს |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 02 02 | | | 150.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით დახმარება 500 ლარამდე თანხით, (ლიმიტის ამოწურვამდე);<br>სოციალურად დაუცველ 200 000 ათას ქულის მქონე მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარება; შშმ. პირთა მედიკამენტებით დახმარება; ვეტერანთა მედიკამენტებით დახმარება; ასევე 300 ლარამდე თანხით;<br>ფენილკეტონურიით ან სხვა იშვაითი დაავადების მქონე პირთა მედიკამენტებით და სპეციალიზირებული საკვები დანამატებით დახმარება. 500 ლარამდე თანხით ლიმიტის ამოწურვამდე. 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ პირთა შაქრის საზომი აპარატის ჩხირების დაფინანსება არაუმეტეს 100 ლარისა. (საჭიროების მიხედვით) | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობა მედიკამენტების შეძენაზე ფინანსური დახმარების გზით. | | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების პროგრამა | | დაფინანსება ათას ლარებში 2021 წელს |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 02 03 | | | 147.8 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ონკოლოგიური დაავდების მქონე ბენეფიციარების, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა ან სხვა მკურნალობა და სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, მომსახურება დაუფინანსდებათ 70%, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. ქიმიოთერაპიის 500 ლარამდე მოთხოვნილი თანხა დაფინანსდება სრულად და ლიმიტის ამოწურვამდე. ასევე, დიაგნოსტიკური კვლევების ჩასატარებლად მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება 50%-ით, არაუმეტეს 600 ლარისა. ასევე სხვა სიმსივნური | | | |

| | |
|---|---|
| | დაავადების მქონე პირთა სამედიცინო დახმარება დაუფინანსებელი თანხის 50%-ით. ონკოლოგიური პაციენტებისთვის სამედიცინო დამხმარე საშუალებების დაფინსება 500 ლარამდე თანხით. ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტების სამკურნალო თანხის ლიმიტი შედგენს 1500 ლარს. ონკოლოგიური პაციენტები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულის წარმოდგენისაგან. |
| მოსალოდნელი შედეგი | პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ბიკარბონატული ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა | | დაფინანსება ათას ლარებში 2021 წელს |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 02 04 | | | 38.4 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული თირკმლის უკმარისობით დაავადებულთათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფა პროგრამული დიალიზის ჩასატარებლად კვირაში სამჯერ, 2020 წლის მაჩვენებლით პროგრამით სარგებლობდა 30 ბენეფიციარი (100 ლარი თითო ბენეფიციარზე). | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია. | | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ელექტრო ენერგიის და გაზის გადასახადის დაფინანსების პროგრამა | | დაფინანსება ათას ლარში 2021 წელს |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 03 01 | | | 35,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მოხმარებული ელექტოენერგიის ან გაზის ღირებულების ნაწილობრივი დაფარვა. ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 100 000-მდე. (დახმარების მისაღებად მოქალაქე განცხადებით მომართვის დროს ირჩევს დახმარების ტიპს). მარჩენალდაკარგული ოჯახის დახმარება, სადაც არის 18 წლამდე ასაკის ბავშვი, ელექტროენერგიის ან გაზის გადასახადის დაფინანსების მიზნით – 1 ბავშვზე 10 ლარის ოდენობით, მარტოხელა მშობელი, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი, ელექტროენერგიის ან გაზის გადასახადის დაფინანსების მიზნით – 1 ბავშვზე 10 ლარის ოდენობით, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა (18 წლამდე ასაკის) და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა ოჯახების დახმარება ელექტროენერგიის ან გაზის გადასახადის დაფინანსების მიზნით – თვეში 10 ლარის ოდენობით; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში მონაწილე შშმ პირების ოჯახი - თვეში 10 ლარის ოდენობით; რეინტეგრირებულ ბავშვთა ოჯახები - თვეში 10 ლარის ოდენობით; მრავალშვილიანი 4 და მეტი 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების დახმარება ელექტროენერგიის ან გაზის გადასახადის დაფინანსების მიზნით – თვეში 10 ლარის ოდენობით.სოციალურად დაუცველი ოჯახების დამატებითი სტატუსის გარეშე ისარგებლებს გაზის ან დენის შეღავათით სარეიტინგო ქულით 65 000-დან 100 001-მდე) თვეში 10 ლარის ოდენობით. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | სოციალურად დაუცველი ოჯახების მოხმარებული ელექტრო ენერგიის და გაზის საფასურის ანაზღაურებაში ხელშეწყობა. | | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | მოწყვლადი ჯგუფების გათბობის ხარჯით დახმარების პროგრამა | | დაფინანსება ათას ლარებში 2021 წელს |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 03 02 | | | 50,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ერთჯერადად მიეცემათ საშეშე მერქნის შესაძენი თანხა 50 ლარის ოდენობით, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ოჯახს 100 ლარის ოდენობით. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | სოციალურად დაუცველი ოჯახების ფინანსური შესაძლებლობების გაზრდა ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფისათვის. | | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სოციალურად დაუცველი მოწყვლადი ჯგუფებისთვის საკვების გაცემა დღესასწაულებზე | | დაფინანსება ათას ლარებში 2021 წელს |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 03 03 | | | 35,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | საგარეჯოს ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ოჯახებისთვის სააღდგომო-საახალწლო ამანათების გადაცემა. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესება. პროგრამით შესაძლებელი იქნება 600 ბენეფიციარის უზრუნველყოფა. | | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | მოსახლეობის ტრანსპორტირების პროგრამა | | დაფინანსება ათას ლარებში 2021 წელს |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 03 04 | | | 20.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | | | |
